

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026

<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.24>

იმპერიული მითი პროგრესისა და მეგობრობის შესახებ: მიხაილ ვორონცოვისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლები თბილისში

ეკატერინე კიკნაძე
გიორგი ფარცხალაძე

საკვანძო სიტყვები: მონუმენტური ქანდაკება, იმპერიული მეხსიერება, საბჭოთა მეხსიერების პოლიტიკა, ცენტრი-პერიფერია, ურბანული სივრცე, თბილისი, ვორონცოვის ძეგლი, გრიბოედოვის ძეგლი.

სტატია იკვლევს იმპერიული მეხსიერების პოლიტიკას თბილისის ორი მონუმენტის – მიხაილ ვორონცოვის (1867) და ალექსანდრე გრიბოედოვის (1961) ძეგლებისა და მათი ისტორიული კონტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. კვლევა აჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა რუსეთის იმპერიული და საბჭოთა ნარატივების ენა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის შესაბამისად: XIX საუკუნეში ძალაუფლება პროგრესისა და მოდერნიზაციის რიტორიკას ეყრდნობოდა, ხოლო XX საუკუნეში – ხალხთა მეგობრობისა და კულტურული სიახლოვის იდეას. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ორივე მონუმენტი ერთსა და იმავე ცენტრი-პერიფერიის მოდელს ასახავს, რომლის მეშვეობითაც ქალაქის სივრცეში მეხსიერების ოფიციალური ჩარჩოები იქმნებოდა. სტატია ეფუძნება საარქივო დოკუმენტებს, პრესის მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს.

ძალაუფლება ქალაქში მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობებსა თუ ტოპონიმულაში არ ჩანს, ის საჯარო სივრცეში განთავსებული ობიექტებითაც გამოიხატება. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მონუმენტურ ქანდაკებას აქვს. თითოეული მონუმენტი კონკრეტული პირის ან მოვლენის ხსოვნას ემსახურება, მაგრამ ამავე დროს ადგენს: ვის უნდა დაეთმოს მთავარი ადგილი; წარსულის რომელი ეპიზოდი უნდა გახდეს ქალაქის მეხსიერების ნაწილი და ვის ეკუთვნის მისი ინტერპრეტაციის უფლება. მონუმენტური ქანდაკების ეს ფუნქცია განსაკუთრებით აქტიურია კოლონიურ და პერიფერიულ სივრცეებში, სადაც ცენტრი მას სივრცისა და იდენტობის გადაწყვეტის საშუალებად იყენებს.

თბილისში სხვადასხვა ეპოქაში აღმართული მიხაილ ვორონცოვისა და ალექსანდრე გრიბოე-

დოვის ძეგლები იმპერიული მეხსიერების პოლიტიკის ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ფორმას აჩვენებს. 1867 წელს გახსნილი ვორონცოვის მონუმენტი მეფის რუსეთის იმპერიულ ნარატივს გამოხატავდა. კავკასიის მეფის-ნაცვალის წარმოდგენილი იყო როგორც რეგიონის პროგრესის, კულტურული აღმავლობისა და ურბანული მოდერნიზაციის განმასახიერებელი ადმინისტრატორი. 1961 წელს, პოსტსტალინური საბჭოთა კულტურული პოლიტიკის კონტექსტში აღმართული ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი კი იმავე ცენტრი-პერიფერიის იერარქიას უკვე სხვაგვარად წარმოადგენდა. ადმინისტრაციული ძალაუფლების ფიგურა აქ მწერალმა და დიპლომატმა შეცვალა; პროგრესისა და მადლიერების იმპერიულ რიტორიკას კი – ხალხთა მეგობრობის საბჭოთა ნარატივი ჩაენაცვლა.

ამ ორი მონუმენტის შედარება მნიშვნელოვანია არა მათი პირდაპირი მსგავსების, არამედ იმ სხვაობების გამო, რომლებიც იმპერიული ნარატივის დროში ცვლილებას აჩვენებს. ვორონცოვის ძეგლის სახით ძალაუფლება საკუთარ თავს მმართველობის, აღმშენებლობისა და პოლიტიკური პატერნალიზმის ერთ წარმომადგენდა, გრიბოედოვის ძეგლმა კი იგივე იერარქია უფრო რბილი - კულტურული და ემოციური - ფორმით გამოხატა. როგორ იცვლება იმპერიული მეხსიერების ენა ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტთან ერთად და რა რჩება ამ ცვლილების მიუხედავად უცვლელი - ეს არის სტატიის მთავარი კითხვა.

ვორონცოვის ძეგლი და პროგრესის იმპერიული მითი

თბილისში - კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში - ვორონცოვის ქანდაკება - რეალისტური მონუმენტის პირველი ნიმუში რეგიონში - 1867 წლის 25 მარტს გაიხსნა. თარიღს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: 1845 წლის 25 მარტს ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის სტატუსით პირველად შემოვიდა თბილისში. ოცდამეცხრე წლის თავზე მისი ძეგლის გახსნა ქალაქის მეხსიერებაში მისი სახელის მყარად დამკვიდრებას და მისი მმართველობის სიმბოლურ გაგრძელებას ემსახურებოდა.

სიმბოლურ მნიშვნელობას აძლიერებდა სივრცეც, სადაც მონუმენტი დაიდგა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე კუკია ვორონცოვის მმართველობამდე ქალაქის პერიფერიული და ქაოტურად განაშენიანებული ადგილი იყო. ვორონცოვი იმპერატორისადმი გაგზავნილ ანგარიშში წერდა, რომ კუკია, სადაც ახლო წარსულში „ლეკთა რამები აწყობდნენ თავდასხმებს“ მისი ურბანული რეფორმების შედეგად ახალ, პრესტიჟულ უბნად ჩამოყალიბდა - რეგულარული განაშენიანებით, ევროპული არქიტექტურითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით.¹ კუკიის განვითარებას განსა-

კუთრებით შეუწყო ხელი ჯოვანი სკუდიერის პროექტით აგებულმა ქვის ხიდებმა, რომლებმაც კუკია ქალაქის ისტორიულ და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირეს.² 1853 წელს გახსნილი დიდი ხიდის ღერძზე ჩამოყალიბდა მოედანი, რომლის საზოგადოებრივი და სავაჭრო მნიშვნელობა სწრაფად იზრდებოდა. სწორედ ამ მოედანზე აღიმართა ვორონცოვის ძეგლი, ხოლო ძეგლის ირგვლივ არსებული სივრცეს - ხიდს, მოედანს და მოედნის გასწვრივ განვითარებულ ქუჩას - ვორონცოვის სახელი მიენიჭა.³ ეს სივრცე, ტოპონიმების მეშვეობით, სრულად გაიგივდა მეფისნაცვლის სახელთან.

ვორონცოვის ძეგლი კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ მოქანდაკე ნიკოლაი პიმენოვს (1812-1864) დაუკვეთა. სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სახელმწიფო დაკვეთების ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი პიმენოვი რუსული აკადემიური მონუმენტური ქანდაკების სკოლის წარმომადგენელი იყო. ძეგლზე მუშაობისას მოქანდაკე თბილისში არ ჩამოსულა. მოედნისა და ძეგლის მასშტაბები მისთვის არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა განსაზღვრა. სიმონსონი ქანდაკების მასშტაბს ადგენდა არა მხოლოდ არსებული მოედნის, არამედ ხიდიდან მისი აღქმისა და კუკიაზე სამომავლოდ დაგეგმილი რკინიგზის სადგურის გათვალისწინებით, რადგან ძეგლი თავიდანვე გააზრებული იყო როგორც მარცხენა სანაპიროს ახალი ურბანული სივრცის მთავარი ვიზუალური აქცენტი.⁴ პიმენოვი 1864 წელს გარდაიცვალა. ძეგლი, არსებული მოდელის მიხედვით მისმა მოწაფემ, ფიოდორ კრეიტანმა დაასრულა.⁵ ქანდაკება ბრინჯაოში პეტერბურგში ჩამოისხა. ძეგლის ისტორია მკაფიოდ მისდევს ცენტრი-პერიფერიის ლოგიკას: თბილისის ახალი ურბანული სივრცისთვის განკუთვნილი ქანდაკება იმპერიის ცენტრში შეიქმნა და პერიფერიაში უკვე დასრულებული, მეტროპოლიური ობიექტის სახით შემოვიდა.⁶

1 Акты, т. 10, 1885, с. 846, 870, 881; ბერიძე, ძეგლი, 1977, გვ. 193-218.

2 გერსამია, ჯოვანი, 2017, გვ. 14-15.

3 Кавказский календарь, 1855, с. 511-512; ჭანიშვილი, თბილისი, 2019, გვ. 27-112.

4 საქართველოს ეროვნული არქივი (შემდეგში: სეა), საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში: სცსა), ფ. 8, ა. 1, ს. 8, ფურც. 82-85.

5 Кривдина, Скульпторы, 2008, გვ. 86-87, 90.

6 ადგილზე მხოლოდ ქანდაკების პოსტამენტი შესრულდა. პოსტამენტის პირველი ვერსია არქიტექტორ ედვინ რაისის დაუკვეთეს, თუმცა უხარისხოდ ჩატარებული სამუშაოს გამო, მისი შეცვლა გახდა საჭირო. პოსტამენტის საბოლოო ვერსია ოტო სიმონსონს ეკუთვნოდა. Jahn, Bronze Viceroy, 2014, p. 171; სეა, სცსა, ფ. 8, ა. 1, ს. 8, ფურც. 298, 300.

სიმონსონის განსაზღვრული მასშტაბის მიხედვით პედესტალის და ქანდაკების ზომა თითოეულის ხუთი არშინი იყო, მთლიანობაში მონუმენტი დაახლოებით ათ არშინს, ანუ 7.1 მეტრს აღწევდა.⁷ ფიგურა ფრონტალურ, მშვიდ და ოფიციალურ პოზაში იყო წარმოდგენილი. მუნდირი, ორდენები და ფელდმარშლის კვერთხი მის სახელმწიფოებრივ სტატუსს უსვამდა ხაზს, ფართო მოსასხამი ერთიან ფორმად კრავდა სილუეტს. მეფისნაცვლის ფიგურას წელზე მახვილი ეკეთა, თუმცა ის პრაქტიკულად სრულად იფარებოდა მოსასხამის დრაპირებით და აქტიური სამხედრო ატრიბუტის შთაბეჭდილებას არ ქმნიდა. კავკასიის ომის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ ქანდაკების ასეთი ვიზუალური ენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ვორონცოვი წარმოდგენილი იყო არა როგორც ბრძოლაში მყოფი დამპყრობელი, არამედ როგორც მმართველი, რომლის ძალაუფლება უკვე დამყარებულ წესრიგსა და ადმინისტრაციულ სიმშვიდეს უკავშირდებოდა. ამ ძეგლით იმპერია ამბობდა, რომ კავკასიის ომი დამთავრდა და მან ამ სივრცეში მყარად დაიმკვიდრა თავი.

ვორონცოვის მონუმენტის ეს შინაარსი განსაკუთრებით მკაფიო ხდება პავლე ციციანოვის მონუმენტთან დაკავშირებული ისტორიის ფონზე. თბილისში, სიონის ტაძართან ციციანოვისთვის ძეგლის აღმართვა ჯერ კიდევ 1830-იან წლებში იგეგმებოდა. პროექტი დამტკიცდა, მაგრამ საბოლოოდ, მასზე მუშაობა ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს შეჩერდა.⁸ ციციანოვის სახელი ადგილობრივ მეხსიერებაში მკაცრ სამხედრო მმართველობასა და ძალადობრივ იმპერიულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მისი ძეგლის პროექტის შეჩერება შეესაბამებოდა ვორონცოვის კავკასიური პოლიტიკის მოქნილ ლოგიკას: კულტურულ-საგანმანათლებლო და ურბანულ რეფორმებთან ერთად, ეს პოლიტიკა ადგილობრივ ელიტებთან შეთანხმებას, მათ იმპერიულ სისტემაში ჩართვას და პოლიტიკური ლოიალობის შექმნას ეყრდნობოდა.⁹

მიხაილ ვორონცოვის ძეგლი თბილისში იყო ნაწილი რუსეთის იმპერიის მონუმენტური პოლიტიკისა, რომელიც 1863–1870 წლებში, ომებისა და პოლიტიკური დაძაბულობის შემდგომ პერიოდში, იმპერიამ სასაზღვრო ქალაქებში გაატარა. 1863 წელს ოდესაში – ვორონცოვის, 1867 წელს სევასტოპოლში – ადმირალ ლაზარევის, ხოლო 1870 წელს ვარშავაში – გენერალ პასკევიჩის ძეგლები დაიდგა.¹⁰ თითოეული მათგანის ადგილობრივი კონტექსტი განსხვავებული იყო. ვორონცოვი, რომელიც 1823–1844 წლებში ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორის პოსტს იკავებდა, ოდესაში ქალაქის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის სიმბოლოდ იყო წარმოდგენილი; სევასტოპოლში, სადაც ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ იმპერია „რუსული იარაღისა და დიდების ქალაქის“ მითოლოგიას ქმნიდა, ლაზარევის ძეგლი საზღვაო ფლოტის დიდებას განასახიერებდა; ვარშავის პასკევიჩის მონუმენტი კი ღია რეპრესიულ აქტს წარმოადგენდა: 1830–1831 წლების პოლონური აჯანყების ჩამხშობი, ეროვნული ჩაგვრისა და რუსიფიკაციის პოლიტიკით გამორჩეული ვარშავის მთავრისა და პოლონეთის სამეფოს გუბერნატორ პასკევიჩის ქანდაკება დაიდგა იმ ადგილას, რომელიც პოლონეთის ეროვნული გმირის, იოზეფ პონიატოვსკის ქანდაკებისთვის იყო განკუთვნილი. პონიატოვსკის ადგილზე აღმართული პასკევიჩის ქანდაკება პოლონეთის ისტორიული მეხსიერების წაშლისა და რუსული რეპრესიული ძალაუფლების დამკვიდრების სიმბოლოს წარმოადგენდა.¹¹

ამ შედარებით კონტექსტში თბილისის შემთხვევის მთავარი თავისებურება მაღლიერების ნარატივში გამოიხატება. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის ოფიციალური დოკუმენტაციის თანახმად, ძეგლის აღმართვის ინიციატივა, ვორონცოვისადმი „სახალხო მაღლიერების“ გამოხატვის ნიშნად, ქართველ თავადაზნაურობას ეკუთვნოდა.¹² თუმცა, საზოგადოებრივი ინიციატივა კავკასიის

7 სეა, სცსა, ფ. 8, ა. 1, ს. 8, ფურც. 82–85.

8 Ткаченко, Невозвдвигнутый, 2016, გვ. 70–71; სეა, სცსა, ფ. 205 ა. 1, ს. 117, ფურც. 2–5.

9 ჯოლოგუა, ვორონცოვის, 2011, გვ. 132–139; ჭაღუა, მიხეილ, 2025, გვ. 115–116; სუნი, ქართველი, 2022, გვ. 133.

10 Kavkaz, № 93, 1863, p. 551–552; Otkrytie pamiatnika admiralu M.P. Lazarevu, 1867, p. 40–44; Paszkiewicz, Carskie pomniki, 1990, p. 309–310; Szynekman, Pomnik, 1918, p. 14–15.

11 HERLIHY, Odessa, 1986, p. 121–122; Plokhly, City, 2000, p. 374–377; Ivaniuk, and Osetianova, Konstruiuvannia, 2025, p. 32–39; Paszkiewicz, Carskie, 1990, p. 309–310; Szynekman, Pomnik, 1918, p. 15.

12 სეა, სცსა, ფ. 8, ა. 1, ს. 8, ფურც. 17.

მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ განახორციელა: იმპერატორის ბრძანებით მთელ ამიერკავკასიაში გაიხსნა შემოწირულობათა კამპანია, ხოლო ბარი-ათინსკის კანცელარიამ ყველა ადმინისტრაციულ, სამხედრო და რელიგიურ ინსტიტუციაში დაგზავნა შემოწირულობის ოფიციალური ფორმები კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.¹³ თავადანაურობის ინიციატივა ფორმალური იყო, ის მხოლოდ ძეგლის ლეგიტიმაციის საფუძვლად გამოიყენებოდა, ხოლო რეალური გადაწყვეტილება, დაფინანსება და აღსრულება სრულად იმპერიული ადმინისტრაციის კონტროლქვეშ რჩებოდა.

მადლიერების ნარატივის ვიზუალური და ემოციური ძალა ძეგლის გახსნის შემდეგ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა. ოფიციალური ტექსტების მიხედვით, ძეგლის სანახავად მისულთაგან ნაწილი ქანდაკების წინ მუხლს იდრეკდა და თაყვანისცემის ნიშნად პირჯვარს იწერდა.¹⁴ რეალისტური მონუმენტური ქანდაკება, რომელიც ადგილობრივი ვიზუალური კულტურისთვის უცხო გამოცდილება იყო, ადამიანების აღქმაში საკრალურ, თაყვანსაცემ ობიექტებს დაუკავშირდა. ამგვარი აღქმა მხოლოდ ამყარებდა ვორონცოვის, როგორც იმპერიული პროგრესის სიმბოლოს დამკვიდრებას კავკასიურ კულტურაში.

ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი - იმპერიული მითი მეგობრობის შესახებ

ალექსანდრე გრიბოედოვის ხსოვნა საქართველოში ვორონცოვისგან განსხვავებული შინაარსისა იყო და მას განვითარების ორი ეტაპი ჰქონდა: იმპერიული და საბჭოთა. თუ ვორონცოვის ფიგურა ადმინისტრაციულ ძალაუფლებას, ურბანულ გარდაქმნასა და იმპერიულ წესრიგს განასახიერებდა; გრიბოედოვის სახელი XIX საუკუნის ქართულ კულტურაში, უპირატესად, ლიტერატურული ავტორიტეტისა და პირადი ტრაგედიის ენით შემოვიდა. თბილისთან მას კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში დიპლომატიური სამსახური, ნინო ჭავჭავაძესთან ქორწინება, ჭავჭავაძეების არისტოკრატიულ-ლიტერატურულ წრესთან კავშირი და

მთაწმინდაზე დაკრძალვა აკავშირებდა.¹⁵ სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მან ქართულ მეხსიერებაში დაიკავა: რუსი მწერალი არა მხოლოდ იმპერიული სამსახურის წარმომადგენლად დამკვიდრდა, არამედ რუსულ-ქართული კავშირის განმასახიერებელ „საქართველოს სიძე“.¹⁶

გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ქორწინება პირადი, რომანტიკული ისტორიის მიღმა პოლიტიკურ შინაარსსაც ატარებდა. გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეების ოჯახი რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში მჭიდროდ იყო ინტეგრირებული და საქართველოში იმპერიის ინტერესების განმტკიცებას ემსახურებოდა. გარსევან ჭავჭავაძე გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერი იყო, ხოლო მისი ვაჟი, ალექსანდრე, ერთი მხრივ იმპერიულ სამხედრო-ადმინისტრაციულ სისტემასთან დაკავშირებული არისტოკრატი, მეორე მხრივ კი ახალი ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფიგურა. მისი უფროსი ქალიშვილისა და რუსი დიპლომატის ქორწინება ნათესაური კავშირებით რუსეთ-საქართველოს დაახლოებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად განიხილებოდა.¹⁷ ამ ოჯახში გრიბოედოვის „საქართველოს სიძე“ დამკვიდრება ერთდროულად განასახიერებდა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული შინაარსის კავშირს.

ქორწინებიდან მალევე, 1829 წლის იანვარში, გრიბოედოვი თეირანში მოკლეს. რუსი მწერლის სახელი, ნინო ჭავჭავაძის მისდამი ერთგულების ისტორია და ქართულ-რუსული კავშირის სიმბოლური მნიშვნელობა ქალაქის სივრცეში კონკრეტულ ადგილს - მთაწმინდას - დაუკავშირდა, სადაც გრიბოედოვი დაკრძალეს. ჯერ კიდევ პანთეონის ოფიციალურ ჩამოყალიბებამდე გრიბოედოვისა და, მოგვიანებით, 1857 წელს, მასთან დაკრძალული ნინო ჭავჭავაძის აკლდამა მამადავითის ეკლესიასთან, თბილისის ღირსშესანიშნაობათა რიცხვში მოექცა.¹⁸

მას სტუმრობდნენ ქალაქში ჩამოსული მოგზაურები; კედლებზე დატოვებული ლექსები და წარწე-

13 იქვე, ფურც. 12–13, 17–18, 26–26; ფ. 8, ა. 1, ს. 2506, ფურც. 2, 15, 103.

14 Otkrytie pamiatnika v Tiflise, 1867, გვ. 29; Jahn, Bronze, 2014, pp. 175–179.

15 ბალახაშვილი, გრიბოედოვი, 1966, გვ. 3–6; Кавказ, Жизнь, 1895, №4, გვ. 2–3.

16 Maisuradze, Genealogisierungen, 2015, pp. 207–212.

17 ცქიტიშვილი, გარსევან, 1982, გვ. 2–3, 30; Maisuradze, Genealogisierungen, 2015, pp. 208–209.

18 ბალახაშვილი, გრიბოედოვი, 1966, გვ. 218–223; Кавказ, Мтацминдский, 1890, № 108, გვ. 1–2; ჩიქოვანი, მთაწმინდის, 2022, გვ. 63–64.

რები კი აჩვენებდა, რომ ეს ადგილი არა მხოლოდ ოფიციალური ხსოვნის, არამედ თაყვანისცემისა და რომანტიკული პილიგრიმობის სივრცედაც აღიქმებოდა.¹⁹ ამ საფლავის მეშვეობით გრიბოედოვის ხსოვნის პირველი მონუმენტალიზაცია არა საქალაქო მოედანზე, არამედ მთაწმინდაზე შედგა. სახელმწიფოს მიერ დადგმულ ძეგლამდე სწორედ ამ საფლავმა და ნინო ჭავჭავაძის გლოვის ისტორიამ შექმნა ის ემოციური და მემორიალური საფუძველი, რომელზეც გრიბოედოვისა და ნინოს საჯარო მემსიერება, როგორც ქართულ-რუსული კავშირის უწყვეტობის ალევორია, აიგო.²⁰

გრიბოედოვის სახელი თბილისის ტოპონიმიკასა და კულტურულ ცხოვრებაშიც დამკვიდრდა. 1879 წელს, გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წლის აღსანიშნავად, მთაწმინდაზე მდებარე ერთ-ერთ ქუჩას (ყოფ. კომენდანტის ქუჩა) მისი სახელი ეწოდა. „ვაი ჭკუისაგან“ კი თბილისში ჯერ კიდევ 1832 წლიდან გაჩნდა სამოყვარულო სპექტაკლის სახით – რომან ბაგრატიონის სახლში, 1846 წლიდან რუსულენოვან, 1886 წლიდან კი ქართულ სათეატრო სცენაზე.²¹

გრიბოედოვის სახელის ირგვლივ ახალი მემსიერების ფორმირება საბჭოთა საქართველოში გაგრძელდა. 1929 წელს, მისი გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად, მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესიის შემოგარენს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სტატუსი მიენიჭა.²² მის შესასვლელში მდებარე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის საფლავი, გიორგი მაისურაძის მიხედვით, ქართულ-რუსული კულტურული „ქორწინების“ სიმბოლოდ იქცა. პანთეონის სახით წარმოდგენილი ქართული კულტურული მემსიერება კი რუსი მწერლის საფლავით იწყებოდა.²³

1934 წელს გრიბოედოვის სახელი მიენიჭა თბილისის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრს,²⁴ რაც 1930-იანი წლების საბჭოთა კულტურული პო-

ლიტიკის ფართო კონტექსტში თავსდება: კლასიკოსთა სახელებით ინსტიტუციების, პანთეონებისა და მემსიერების სივრცეების ორგანიზება საბჭოთა კულტურული კანონის შექმნის ერთ-ერთი მეთოდი იყო.

გრიბოედოვის მემსიერების აქტუალიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1950-იან წლებში. 1954 წელს მისი სიკვდილიდან 125, ხოლო 1955 წელს დაბადებიდან 160 წელი აღინიშნა. გრიბოედოვი წარმოდგენილი იყო რუსული კულტურის უდიდეს ფიგურად, რომლის ცხოვრება და შემოქმედება საქართველოსთან განსაკუთრებით იყო დაკავშირებული. მისი სახელი „ორ ხალხს“ შორის კავშირის სიმბოლოდ იქცა და ხალხთა მეგობრობის საბჭოთა ნარატივში ჩაეწერა.²⁵ XIX საუკუნეში საფლავით, ქუჩითა და თეატრალური ხელოვნებით დაწყებულმა მემსიერებამ XX საუკუნის შუა ხანებიდან ახალი იდეოლოგიური ფორმა მიიღო. ამ კონტექსტში იქნა მიღებული თბილისში მისი ძეგლის დადგმის გადაწყვეტილებაც.

1950-იანი წლების მიწურულიდან ქართული საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების თემატიკა შესამჩნევად გაფართოვდა. პარტიულ-რევოლუციური გმირების გვერდით, საჯარო სივრცეში, სულ უფრო მეტად შემოვიდა ქართული კულტურული პანთეონი და ისტორიული სახეები.²⁶

ამავე დროს, 1950-1960-იანი წლებიდან მონუმენტური ქანდაკება მჭიდროდ დაუკავშირდა ახალი საბჭოთა თბილისის მშენებლობას. ძეგლი უნდა გამხდარიყო მოედნის, სკვერის, სანაპიროს, საცხოვრებელი ანსამბლის ვიზუალური და იდეოლოგიური აქცენტი. ამ ლოგიკით შეირჩა ადგილი გრიბოედოვის ძეგლისთვისაც: კარლ მარქსის სახელობის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კამოს სახელობის ქუჩაზე აგებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შუაში მოწყობილი სკვერის ცენტრში, სახით მტკვრისკენ.²⁷

ძეგლისთვის შერჩეული ადგილი დისკუსიის

19 Вещь Тифлисы, 1906, с. 10.

20 MAISURADZE, Genealogisierungen, 2015, p. 211.

21 თბილისი, ქუჩები, გაზირები, მოედნები, 2008, გვ. 48; კიკნაძე, ქართული, ტ. I, 2003, გვ. 17–18.

22 ჩორგოლაშვილი, მთაწმინდა, 1991, გვ. 68.

23 MAISURADZE, Genealogisierungen, 2015, p. 212.

24 Шах-Азизов, Тифлисскому русскому театру – имя А. С. Грибоедова, 1934, с. 4.

25 SLEZKINE, The USSR, 1994, pp. 443–448; Заря Востока, 1954, № 38, с. 3; Заря Востока, 1955, № 13, с. 3; Maisuradze, Genealogisierungen, 2015, p. 211–212.

26 სეა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიკა), ფ. 10, ა. 1, საქმე 723, ფურც. 1–6; შანიძე, ქართული საბჭოთა ქანდაკება, 1975, გვ. 27–34.

27 სეა, თბილისის ცენტრალური არქივი (თცა), ფ. 14, ა. 5, საქმე 199, ფურც. 1–6; Кайшаури, Победа молодого скульптора,

საგანი გახდა. მხატვარ ლადო გუდიაშვილსა და ისტორიკოს ივანე ენიკოლოპოვს, მართალია, ადგილი ეფექტურად მიაჩნდათ, მაგრამ უფრო შესაფერისად ძეგლის დადგმას გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის სიახლოვეს ან ბესიკის ქუჩის სკვერში, ახვერდოვების ბაღის ყოფილ ტერიტორიაზე მიიჩნევდნენ – სადაც გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე დაინიშნენ.²⁸ აზრთა ეს სხვადასხვაობა აჩვენებს უთანხმოებას ბიოგრაფიულ მეხსიერებასა და საბჭოთა ქალაქგეგმარებით ლოგიკას შორის. ძეგლის საბოლოო ადგილად არა ძველი თბილისური მეხსიერების ტოპოგრაფია, არამედ ახალი საბჭოთა სანაპირო ანსამბლი შეირჩა.

გრიბოედოვის ძეგლის დამკვეთი სსრკ კულტურის სამინისტრო იყო.²⁹ ძეგლის ავტორია – მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი, არქიტექტორები კი შოთა ყავლაშვილი და გივი მელქაძე. ძეგლი მერაბიშვილის სადიპლომო ნამუშევარი იყო, რომელიც მოსკოვში, საკავშირო გამოფენაზე ჰქონდა წარდგენილი. გამოფენაზე მოპოვებული წარმატების შემდეგ საბჭოთა სახვითი ხელოვნების მთავარმა სამმართველომ თბილისის საქალაქო საბჭოს დაავალა ახალგაზრდა მოქანდაკეს გრიბოედოვის ძეგლის ესკიზურ პროექტზე მუშაობის შესაძლებლობა მისცემოდა.³⁰ ნამუშევრის მხატვრულ ღირსებებთან ერთად, აღინიშნებოდა მერაბიშვილის პროფესიული მემკვიდრეობაც: იგი ცნობილი მოქანდაკის, თბილისის შოთა რუსთაველის მონუმენტის ავტორის, კონსტანტინე მერაბიშვილის ვაჟი იყო და პრესაში „მემკვიდრეობით მოქანდაკედ“ მოიხსენიებოდა.³¹ ეს გარემოება ასეთი მასშტაბის დაკვეთისთვის ლეგიტიმაციის დამატებით წყაროდ იქცა.

ვორონცოვის ძეგლის მსგავსად, გრიბოედოვის მონუმენტიც ცენტრი-პერიფერიის ლოგიკას ეფუძნება, თუმცა ის სხვა ისტორიულ და ინსტიტუციურ ენაშია გამოხატული. თუ XIX საუკუნეში ეს ლოგიკა იმპერიული ადმინისტრაციის, პეტერბურგის აკადემიური სკოლისა და ინფრასტრუქტურის მეშვეობით განხორციელდა, გრიბოედოვის შემთხვევაში ამ ფუნქციას კულტურის სამინისტრო, საკავშირო გამოფენა და საბჭოთა სამხატვრო ინფრასტრუქტურა ასრულებდა. გრიბოედოვის ძეგლი ქართველი მოქანდაკის ნამუშევარი იყო, თბილისურ მეხსიერებას უკავშირდებოდა, თუმცა, მერაბიშვილი ძეგლზე მოსკოვის სამხატვრო სახელოსნოში მუშაობდა, ქანდაკება ლენინგრადის ქარხანა *Монументальная скульптура*-ში ჩამოისხა და ისიც დასრულებული სახით ჩამოვიდა თბილისში.³²

მონუმენტის საერთო სიმაღლე 9.50 მეტრი იყო.³³ ძეგლი არა მხოლოდ მწერლის ხსოვნას უკავდაცოდდა, არამედ ახალი საცხოვრებელი ანსამბლის სივრცითი აქცენტიც იყო. ის არ ქმნიდა ისეთ მასშტაბურ ურბანულ დომინანტს, როგორც ვორონცოვის ძეგლი ხიდისა და მოედნის ღერძზე. მარცხენა სანაპიროზე განთავსებით, გრიბოედოვის მეხსიერება ძველ თბილისს – მთაწმინდას, მისი სახელობის ქუჩას, ჭავჭავაძეების სახლსა და ახვერდოვების ბაღს – დასცილდა და ახალი საბჭოთა საცხოვრებელი სივრცის ნაწილად იქცა. მისი ბიოგრაფიული მეხსიერება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ძველ თბილისურ სივრცეებში დარჩა. ახალ სივრცეში კი გრიბოედოვი, უპირველესად, რუსულ-ქართული კულტურული კავშირისა და ხალხთა მეგობრობის განმასახიერებელ ფიგურად იყო წარმოდგენილი.

პლასტიკური გადაწყვეტის თვალსაზრისით, გრიბოედოვის ძეგლი განსხვავდება ვორონცოვის მონუმენტისგან. ვორონცოვი მუნდირით, ორდენებითა და ფელდმარშლის კვერთხით სამხედრო-ადმინისტრაციულ ძალაუფლებას განასახიერებდა. გრიბოედოვი კი, კრამსკოის პორტრეტის მიხედვით შესრულებული ჩაფიქრებული სახით, დახრილი თავით და წიგნით ხელში, პირველ რიგში, მწერლად და მოაზროვნედაა წარმოდგენილი.³⁴ ფელდმარშლის კვერთხი წიგნმა შეცვალა, ხოლო იმპერიული მმართველობის ფიგურის ადგილი კულტურისა და აზროვნების სიმბოლომ დაიკავა.

ორივე ძეგლი კლასიკური მონუმენტის ტიპს

1959.

28 Гудиашвили, Ениколопов, Где установить, 1959, с. 4.

29 სეა, თცა, ფ. 14, ა. 5, საქმე 199, ფურც. 1.

30 Кайшаури, Победа, 1959.

31 Лаине, Грибоедов, 1963, с. 4.

32 იქვე; Гудиашвили, Ениколопов, Где установить, 1959, с. 4.

33 სეა, თცა, ფ. 14, ა. 5, საქმე 199, ფურც. 1-6.

34 Лаине, Грибоедов, 1963, გვ. 4; Урушадзе, Ум, 1962, с. 4.

მიეკუთვნება: მაღალი პიედესტალი, ვერტიკალურად აღმართული მონუმენტური ფიგურა, პორტრეტული მსგავსება და რეალისტური პლასტიკა. თუ XIX საუკუნის იმპერიულ მონუმენტში კლასიკური რეალისტური ფორმა ძალაუფლების ბუნებრივ ოფიციალურ ენას წარმოადგენდა, XX საუკუნის 60-იან წლებში სოცრეალისტური დოქტრინის ფარგლებში შენარჩუნებული რეალიზმი უკვე ამ ენის ატავისტური გაგრძელებაა. ამ საერთო ფორმის შიგნით იცვლება არა მონუმენტის ტიპი, არამედ მისი იდეოლოგიური ენა.

თუმცა, ამ აკადემიურ წესრიგში გარკვეული პლასტიკური თავისუფლებაც ჩანს. სხეულის პლასტიკა და სადგამის საზღვრებს გაცდენილი ნაბიჯი კლასიკური ოფიციალურობის ფარგლებში რჩება, თუმცა გრიბოედოვის ფიგურის სტატიკურობას არბილებს და მას უფრო ცოცხალ, ბუნებრივ სახეს აძლევს. ეს ვიზუალური ცვლილება პოსტსტალინურ პერიოდში სახვითი ხელოვნების ენის ცვლილებასაც უკავშირდებოდა: სტალინური ეპოქის გმირული და ჰიპერბოლიზებული მონუმენტურობის შემდეგ გრიბოედოვის ფიგურაში წინა პლანზე ფსიქოლოგიზებული, ინტელექტუალური და ნაკლებად პათეტიკური სახე გამოვიდა.

ამავე კონტექსტში იკითხება ძეგლის თანამედროვე იდეოლოგიური ინტერპრეტაცია. მის შესახებ დაწერილ ოფიციალურ ტექსტებში საქართველო გრიბოედოვის „მეორე სამშობლოდ“ იყო წარმოდგენილი, ხოლო მისი ცხოვრება და შემოქმედება – ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელოვან ფაქტორად.³⁵ 1961 წელს შალვა კვასხვაძე მონუმენტს „ხალხთა ერთობისა და სიყვარულის ძეგლს“ უწოდებდა;³⁶ იგორ ურუშაძე მას გრიბოედოვისადმი ქართველი ხალხის „უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების“ გამოხატულებად აფასებდა.³⁷ ამგვარი ინტერპრეტაცია ხრუშჩოვის „დათბობის“ ენას შეესაბამებოდა: სტალინური ეპოქის შემდეგ ძალაუფლების ენა თავს უფრო რბილი ფორმით – მეგობრული კავშირისა და კულტურული სიახლოვის რიტორიკით გამოხატავდა.

1964 წელს ძეგლს დამატებითი სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა, როდესაც მის გვერდით, კამოს №2 საცხოვრებელი სახლის პირველ სარ-

თულზე ქორწინების სახლი გაიხსნა.³⁸ ხანმოკლე და ტრაგიკული ქორწინების გმირისა და საბჭოთა ქორწინების სახლის უშუალო მეზობლობა ირონიულ სიმძაფრეს ატარებს. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ძველი რომანტიკული ისტორია, რომელიც მთაწმინდასა და ძველ თბილისურ მეხსიერებაში არსებობდა, საბჭოთა სამოქალაქო რიტუალის სივრცეს დაუკავშირდა.

დასკვნა

ვორონცოვისა და გრიბოედოვის ძეგლები ცენტრი-პერიფერიის პრინციპის ორ, სხვადასხვა ენაზე გამოხატულ მაგალითს წარმოადგენენ. ვორონცოვის მონუმენტში იმპერიული ძალაუფლება ადმინისტრატორის, პროგრესისა და „მადლიერების“ ნარატივს ეყრდნობოდა. გრიბოედოვის ძეგლში ის მწერლის, კულტურული კავშირისა და ხალხთა მეგობრობის ნარატივში გამოიხატა. შეიცვალა ფიგურა – მმართველის ადგილი მწერალმა დაიკავა; შეიცვალა სივრცე – წარმომადგენლობითი მოედანი – საცხოვრებელი ანსამბლის სკვერმა შეცვალა; შეიცვალა ენა – ძალაუფლება კულტურის ენით ალაპარაკდა. მაგრამ უცვლელი დარჩა მთავარი პრინციპი: ცენტრი განსაზღვრავდა, ვის ხსოვნას უნდა მინიჭებოდა ოფიციალური მნიშვნელობა და რა იდეოლოგიურ ჩარჩოში უნდა წაკითხულიყო ეს მეხსიერება ქალაქის სივრცეში.

ეს ამოცანა ორ ეპოქაში სხვადასხვა ინსტიტუციური გზით განხორციელდა. ვორონცოვის ქანდაკება იმპერიის ცენტრში შეიქმნა და თბილისში დასრულებული მეტროპოლიური ობიექტის სახით შემოვიდა. გრიბოედოვის ძეგლი ქართველი მოქანდაკის ნამუშევარი იყო, თუმცა მისი დაკვეთა და წარმოება ცენტრალური საკავშირო სისტემის ფარგლებში განხორციელდა. ადგილობრივი მონაწილეობა – XIX საუკუნეში ქართველი თავადაზნაურობის მადლიერება, XX საუკუნეში კი ქართველი მოქანდაკის ავტორობა, ოფიციალურ ნარატივს ადგილობრივ საფუძველს უქმნიდა. იმპერიულმა ეპოქამ ცენტრი-პერიფერიის ეს ლოგიკა მმართველობისა და პროგრესის ენით გამოხატა; საბჭოთა ეპოქამ კი იგივე ლოგიკა კულტურისა და მეგობრობის ენას დაუკავშირა. ნარატივი შეიცვალა. ცენტრი-პერიფერიის პრინციპი – არა.

35 Заря Востока, 1954, № 38, с. 3; Заря Востока, 1955, № 13, с. 3.

36 კვასხვაძე, ძეგლი, 1963, გვ. 1.

37 Урушадзе, Ум, 1962, გვ. 4.

38 ხუბულური, იხარეთ, რეპორტაჟი ქორწინების სახლიდან, 1964, გვ. 4.

ამ ორ ძეგლს განსხვავებული ისტორია აქვს. ვორონცოვის ძეგლი 1920-იან წლებში აიღეს, მოედნის ოფიციალური სახელწოდება მას შემდეგ ორჯერ შეიცვალა,³⁹ იმპერიული შინაარსიც დავიწყებას მიეცა, თუმცა, ქალაქის ყოველდღიურ ენაში ეს სივრცე დღემდე ვორონცოვის სახელით მოიხსენიება. გრიბოედოვის ძეგლი კი კვლავ დგას, თუმცა ხალხთა მეგობრობის ნარატივი, რომელსაც მისი მნიშვნელობა ეფუძნებოდა, საბჭოთა კავშირთან ერთად დაიშალა. ვორონცოვის სახელი ადგილად იქცა, გრიბოედოვი კი – მხოლოდ ძეგლად დარჩა.

ეს ასიმეტრია აჩვენებს, რომ ქალაქური მეხსიერება ოფიციალური მეხსიერების უბრალო გაგრძე-

ლება არ არის. ძალაუფლებას შეუძლია განსაზღვროს ძეგლის თემა, მასშტაბი და იდეოლოგიური წაკითხვა, მაგრამ იმას, თუ როგორ აითვისებს ამ ნიშნებს ქალაქის ყოველდღიური ცხოვრება, სრულად ვერ აკონტროლებს. გარედან მინიჭებული შინაარსი ქრება, თუ ის ქალაქის სივრცით პრაქტიკაში ვერ ჩაეწერა; ადგილი კი, რომელიც ქალაქის ფუნქციური ცხოვრების ნაწილი გახდა, იდეოლოგიური შინაარსის გაქრობის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. პროგრესისა და მეგობრობის იმპერიული მითები სხვადასხვა ენით მოქმედებენ, მაგრამ ორივეს მიღმა პერიფერიის სივრცის სიმბოლური კონტროლის ერთი და იგივე მექანიზმი დგას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბალახაშვილი ი., გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბ., 1966.
- ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.
- გერსამია თ., ჯოვანი სკუდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა, სამეცნიერო კონფერენცია ჯოვანი სკუდიერი და საქართველო, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 2017.
- ენციკლოპედია თბილისი: ქუჩები, გამზირები, მოედნები, თბ., 2008.
- კვასხვაძე შ., ძეგლი ხალხთა ერთობისა და სიყვარულისა, ლიტერატურული საქართველო, №7, თბ., 1963.
- კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. I, თბ., 2003.
- საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 8, ა. 1, საქ. 8.
- საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 205 ა. 1, საქ. 117.
- საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, ფ. 14, ა. 5, საქ. 199.
- საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 10, ა. 1, საქ. 723.
- სუნი რ. გ., ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბ., 2022.
- შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975.
- ჩიქოვანი ნ., მთაწმინდის პანთეონი – მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო, მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო, შემდგ. სტივენ ჯონსი და მალხაზ თორია, თბ., 2022.
- ჩორგოლაშვილი მ., მთაწმინდა, მეორე გამოცემა, თბ., 1991.
- ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა: საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თბ., 1982.
- ჭანიშვილი გ., თბილისი, საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში, დავით ხოშტარაის საერთო რედაქციით, თბ., 2019.
- ჭკადუა გ., მიხეილ ვორონცოვი და კავკასიის სამეფისნაცვლო, თბ., 2025.
- ხუბულური ლ., იხარეთ, იმრავლეთ. რეპორტაჟი ქორწინების სახლიდან, კომუნისტი, №204, 1964.
- ჯოლოგუა თ., მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ, აკაკი წერეთელი 170. საიუბილეო

39 1925 წელს მოედანს კარლ მარქსის სახელი, 1978 წელს კი ზაარბიუკენის სახელი მიენიჭა; იხ: თბილისი, ქუჩები, გამზირები, მოედნები, 2008, გვ. 79.

- კრებული, რედ. ირმა რატიანი, თბ., 2011.
- HERLIHY PATRICIA, ODESSA: A HISTORY, 1794–1914, CAMBRIDGE, MASS., 1986.
 - JAHN Hubertus F., The Bronze Viceroy: Mikhail Vorontsov’s Statue and Russian Imperial Representation in the South Caucasus in the Mid-Nineteenth Century, *Russian History*, Vol. 41, No. 2, 2014, DOI: 10.1163/18763316-04102004.
 - MAISURADZE Giorgi, Genealogisierungen, in: Giorgi Maisuradze, Franziska Thun-Hohenstein, *Sonniges Georgien: Figurationen des Nationalen im Sowjetimperium*, Berlin, 2015.
 - PASZKIEWICZ Piotr, Carskie pomniki i architektura okazjonalna w Warszawie (1815–1915). Treści i funkcje ideowe, *Biuletyn Historii Sztuki*, t. 52, nr 3–4, 1990.
 - PLOKHY Serhii, The City of Glory: Sevastopol in Russian Historical Mythology, *Journal of Contemporary History*, Vol. 35, No. 3, 2000, DOI: 10.1177/002200940003500303.
 - SLEZKINE Yuri, The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism, *Slavic Review*, Vol. 53, No. 2, 1994.
 - SZYNKMAN Henric, *Pomnik Paskiewicza w Warszawie*, Warszawa, 1918.
 - Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. X, под ред. А. П. Берже, Тиф., 1885.
 - Александр Сергеевич Грибоедов, *Заря Востока*, № 38 (8920), 14 февраля, 1954.
 - Афанасьев Д., Открытие памятника адмиралу М. П. Лазареву, *Морской сборник*, № 10, 1867.
 - Весь Тифлиς: справочно-адресный альбом на 1906 год, изд. 1-е, Тифлис, 1906.
 - Гудиашили Л., Ениколопов И., Где установить памятник А. С. Грибоедову?, *Заря Востока*, № 200 (10614), 28 августа, 1959.
 - Ениколопов И., А. С. Грибоедов в Грузии, *Заря Востока*, № 13 (9205), 16 января, 1955.
 - Жизнь А. С. Грибоедова на Кавказе, *Кавказ*, № 4, 5 января, 1895.
 - Іванюк О., Осетянова Д., Конструювання «російського» Криму: імперські монументи та пам’ятні знаки XIX – початку XX століть, *Вісник Маріупольського державного університету. Серія: Історія. Політологія*, вип. 41, 2025, с. 32–47. DOI: 10.34079/2518-1521-2025-16-41-32-47.
 - Кавказский календарь на 1856 год, Тиф., 1855.
 - Кайшаური В., Победа молодого скульптора, *Вечерний Тбилиси*, № 29, 9 июня 1959 г.
 - Кривдина О. А., Скульпторы братья Крейтаны, Немцы в Санкт-Петербурге: биографический аспект, вып. 4, Санкт-Петербург, 2008, с. 81–90.
 - Лаине О., Грибоедов в Тбилиси, *Заря Востока*, № 79 (11704), 4 апреля 1963 г., с. 4.
 - Мтацминдский монастырь, *Кавказ*, № 108, 26 апреля 1890 г., с. 1–2.
 - Открытие памятника в Тифлисе Светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 г., Тифлис, 1867.
 - Открытие памятника князю М. С. Воронцову в Одессе, *Кавказ*, № 93, 28 ноября 1863 г., с. 551–552.
 - Ткаченко Д. С., Невоздвигнутый памятник П. Д. Цицианову: Имперская идея в мемориальной деятельности Кавказской администрации во второй половине XIX – начале XX вв., *Научная мысль Кавказа*, № 3, 2016, с. 68–73. DOI: 10.18522/2072-0181-2016-87-3-68-73.
 - Урушадзе И., Ум и дела твои бессмертны. Памятник А. С. Грибоедову, *Заря Востока*, № 4 (11324), 5 января 1962 г., с. 4.
 - Шах-Азизов Н., Тифлисскому русскому театру – имя А. С. Грибоедова, *Заря Востока*, № 244 (3355), 20 октября 1934 г., с. 4.

International Journal of Arts and Media Researches - #6 (16) 2026
<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.24>

THE IMPERIAL MYTH OF PROGRESS AND FRIENDSHIP: THE MONUMENTS TO MIKHAIL VORONTSOV AND ALEXANDER GRIBOYEDOV IN TBILISI

Ekaterine Kiknadze
George Partskhaladze

Keywords: *monumental sculpture, imperial memory, Soviet memory politics, center–periphery, urban space, Tbilisi, Vorontsov monument, Griboyedov monument.*

| This article examines the politics of imperial memory through a comparative analysis of two monuments in Tbilisi celebrating Mikhail Vorontsov (1867) and Alexander Griboyedov (1961) and their historical contexts.

Introduction

Power in the city is visible not only in administrative buildings or toponymy; it is also expressed through objects placed in public spaces. Among these, monumental sculpture has particular significance. Each monument serves to commemorate a specific person or event, but at the same time it establishes who should be granted the central place, which episode of the past should become part of the city's memory, and who has the right to interpret it. This function of monumental sculpture is especially active in colonial and peripheral spaces, where the center uses it as a means of rewriting space and identity.

The monuments to Mikhail Vorontsov and Alexander Griboyedov, erected in Tbilisi in different periods, reveal two distinct yet interconnected forms of the politics of imperial memory. The Vorontsov Monument, unveiled in 1867, articulated the imperial narrative of Tsarist Russia. Mikhail Vorontsov, the Viceroy of the Caucasus, was represented as an administrator embodying the region's progress,

cultural advancement and urban modernization. The Monument to Alexander Griboyedov, erected in 1961 in the context of post-Stalinist Soviet cultural policy, presented the same center–periphery hierarchy in a different idiom. Here,

the figure of administrative power was replaced by a writer and diplomat, while the imperial rhetoric of progress and gratitude gave way to the Soviet narrative of the friendship of peoples.

The comparison of these two monuments is important not because of their direct similarity, but because of the differences that reveal how the imperial narrative changed over time. In the Vorontsov Monument, power represented itself through the language of governance, development and political paternalism; the Griboyedov Monument, by contrast, expressed the same hierarchy in a softer—cultural and emotional—form. How the language of imperial memory changes together with its historical and political context, and what remains unchanged despite this change, is the central question of this article.

The Vorontsov Monument and the Imperial Myth

of Progress

The Statue of Vorontsov in Tbilisi, the administrative center of the Caucasus, and the first realist monument in the region, was unveiled on March 25, 1867. The date had symbolic significance: on March 25, 1845, Vorontsov first entered Tbilisi in his capacity of Viceroy of the Caucasus. Twenty-two years later, the unveiling of his monument served to secure his name firmly within the city's memory and to function as a symbolic continuation of his governance.

